

კორიდორის აცხადებს მონაწილეების მიღებას გარემოსდაცვით პროექტზე

მდგრადი ნაბიჯები: გარემოსდაცვითი ვორქშოფი ქართველი ახალგაზრდებისთვის

ზრუნავ გარემოზე და გსურს პოზიტიური წვლილი შეიტანო მის გაუმჯობესებაში? შემოგვიერთდი საინტერესო პრაქტიკულ ვორქშოფზე, რომელიც დაგეხმარება მიიღო ცოდნა გარემოსდაცვით საკითხებზე და შეიძინო პრაქტიკული უნარები.

თარიღი: 18-20 ოქტომბერი, 2024

ლოკაცია: გრემის მშვიდობის ბანაკი, კახეთი, საქართველო

აპლიკაციების მიღების ბოლო ვადა: 12 ოქტომბერი, 2024

რას უნდა ელოდო?

ეს ვორქშოფი მოიცავს პრაქტიკულ აქტივობებს და საგანმანათლებლო დისკუსიებს გარემოსდაცვით საკითხებზე. კერძოდ:

- მიიღებ ინფორმაციას კლიმატის ცვლილების, მდგრადი განვითარებისა და სხვა თემების თაობაზე, აგრეთვე, რატომ არის მნიშვნელოვანი ამ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება
- მონაწილეობას მიიღებ კრეატიულ აქტივობებში
- განივითარებ კრიტიკული აზროვნების უნარს გარემოსდაცვით საკითხებზე

ვორქშოფის მთავარი არსი კეთებით სწავლებაა, რომელიც მოიცავს ჯგუფურ სამუშაოებს, დისკუსიებს და პრაქტიკულ აქტივობებს, რომელიც დაგეხმარება გარემოს დაცვა შენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახადო.

რა არის ვორქშოფის მიზანი?

- გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- ახალგაზრდებისთვის პრაქტიკული გარემოსდაცვითი უნარების განვითარება
- ახალგაზრდების ქსელის შექმნა, რომლებიც შეძლებენ ხელი შეუწყონ გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას თავიანთ თემში

ვინ უნდა შემოიტანოს განაცხადი?

- ქართველმა ახალგაზრდებმა (ასაკი: 18+) აღმოსავლეთ საქართველოდან (უპირატესობა მიენიჭება რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს), რომლებსაც არ აქვთ ან აქვთ მწირი ინფორმაცია გარემოსდაცვით საკითხებზე
- ახალგაზრდებმა, რომლებიც არიან მოტივირებულები, მიიღონ ინფორმაცია ამ საკითხებზე და განივითარონ პრაქტიკული უნარები
- მზად არიან ჩაერთონ კრეატიულ აქტივობებში, ახალი სიცოცხლე შესძინონ ერთი შეხედვით “გამოუსადეგარ” ნივთებს და შექმნან ხელნაკეთი ნიმუშები
- მზად არიან უმეტესი დრო გაატარონ ბუნებაში, ღია ცის ქვეშ

რას უზრუნველყოფს ორგანიზაცია?

- მონაწილეების განთავსებას გრემის მშვიდობის ბანაკის გლემფინგის კარვებში
- კვებას
- მგზავრობის ხარჯებს

- მხიარულ და პრაქტიკულ გამოცდილებას!

როგორ გააკეთო განაცხადი? შეავსე სააპლიკაციო ფორმა <https://forms.gle/jhLZCEPiYAo3PQ3m9>

მშვიდობის ბანაკის შესახებ:

ბანაკი მდებარეობს ულამაზეს ისტორიულ სოფელ გრემში, კახეთის რეგიონში. თუმცა, ეს ადგილი მეტია ვიდრე ბანაკი. ეს არის დიალოგის, შეხვედრისა და ტრენინგების სივრცე, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, გარემოზე ნაკლებ გავლენას და ბიომრავალფეროვნებას. გრემის მშვიდობის ბანაკი მასპინძლობს ისეთ ინიციატივებს და ტრენინგებს, რომელთა მიზანი რეგიონისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დადებითი ცვლილების მოტანა სურთ. ეს არის სწავლის, შეხვედრებისა და ერთობლივი მუშაობის ადგილი.

კონტაქტი: მარიამ სვიმონიშვილი (მოხალისე გრემის მშვიდობის ბანაკში)
svimonishvilimariami@gmail.com

შემოიტანე განაცხადი და გადადგი პირველი ნაბიჯი შენი და შენი გარემოს მწვანე მომავლისთვის!